572
1975

ეროვნული
ბიბლიოთეკა



1975 იანვარი N1

# დილა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სერგეი ალექსეევი

# სტვენია

ნახატები რევაზ ცუცქირიძისა



გორკაში ლენინს ერთი ადგილი ჰქონდა ამორჩეული პარკში სასეირნოდ. რა ხე გინდა, აქ რომ არ ყოფილიყო: — ნაძვი, არყი, ათასნაირი ბუჩქი...

მოვიდოდა აქ ვლადიმერ ილიას ძე, გაჩერდებოდა და თავს ზევით ასწევდა. დიდხანს, დიდხანს იდგა ხოლმე ასე და რაღაცას უყურებდა. .

რას უყურებდა? — სტვენიებს!

...ზამთარია. ყველა ბილიკი თოვლს დაუფარავს. ხეებიც თოვლის ქურქში გახვეულან. ჩიტები თბილ ქვეყნებში გაფრენილან. მხოლოდ სტვენიები დარჩნენ პარკში, ზამთარი მათ ახარებთ კიდევაც.

უყურებს ვლადიმერ ილიას ძე ამ ლამაზ ჩიტუნებს! ერთი ვარდისფერგულაა, მეორეც... აი, მესამეც მოფრინდა! მას მკერდი წითლად უღვივის. ეტყობა, დიდი ანცი ვინმეა — თავზე ბუმბული ქოჩორივით აწეწვია. სტვენია უჭკუო კი არაა, ხომ არ გგონიათ ვერ მიხვდა, რომ ვლადიმერ ილიას ძეს ყველაზე მალიან ის მოსწონს...

მიეჩვივნენ ჩიტები ლენინის მოსვლას. იციან, ისე არ მოვა, ან პურის მარცვალი არ მოიტანოს, ან კანაფის გემრიელი თესლი.

უყურებს ლენინი წითელგულა სტვენიას! ო, რა სასაცილო ჩიტია! დაჯდება ტოტზე, თავს მაღლა ასწევს — აბა, მიყურეთ, ხომ მართლა ლამაზი ვარო!

— მართლა ლამაზი ხარ! — ამბობს ვლადიმერ ილიას ძე.

თამაშობს სტვენია — ხტება ტოტიდან ტოტზე, არყიდან — ნაძვზე, ნაძვიდან — ბუჩქზე. აფრინდება, ისევ დაჯდება. გადაევლება

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლენინს თავზე, ჩასტება თოვლში და ისევ ტოტისაკენ მიფრინავს. დაღუნავს თავს, შეხედავს ვლადიმერ ილიას ძეს; — აი, როგორი ვარო.

მაგრამ ერთხელ, წითელგულა, მხიარული სტვენია პარკში თავის ჩვეულ ადგილას აღარ დაუხვდა ვლადიმერ ილიას ძეს. მიდგა-მოდგა, ყველა ხე და ბუჩქი შეათვალიერა, მაგრამ სტვენია არსად იყო.

აღელდა ვლადიმერ ილიას ძე... — ნეტავი რა უნდა მომხდარიყო?!

სტვენია კი მახეში გაება, ეგორკა ისაევმა დაიჭირა, ჩასვა გალიაში და ქოხში ჩამოკიდა კედელზე.

ვლადიმერ ილიას ძემ ვერ იპოვნა ჩიტი, მაგრამ ეგორკას კი შეხვდა: ბიჭი ისევ მობრუნდა პარკში და, ისევ გაძართა კაკანათი. დიდი მამისეული ქუდი ეხურა და ბაბუას თექები ეცვა.

17706

— წითელგულა სტვენია ხომ არ გინახავს, ეგორკა? — ჰკითხა ვლადიმერ ილიას ძემ.

— ვნახეო, — უნდა ეპასუხა ეგორკას მაგრამ გადაიფიქრა, ლენინი ხომ კითხავდა, რა უყო ჩიტს.

— არ მინახავს!

— ნუთუ გაიყინა?

— ის ხომ სითბოში ზის, — კინაღამ წამოცდა ბიჭს, მაგრამ გაჩუმდა და თავი დახარა. მიხვდა, რომ ლენინი ნაწყენი იყო.

— ნამდვილად გაიყინა, ან კატამ მოიტაცა, — თქვა ვლადიმერ ილიას ძემ.

— არა, ის ცოცხალია და მოფრინდება! — ვერ მოითმინა ეგორკამ.

— მოფრინდება?!

— მოფრინდება, მოფრინდება! — დაიყვირა ეგორკამ.



მართლაც და, მოდის ილიას ძე მეორე დღეს არყის ხესთან, ხედავს — ბუჩქებში სტვენია დახტის! ხის უკან კი ეგორკა დგას.

ვლადიმერ ილიას ძემ ჯერ ეგორკას შეხედა, მერე — ჩიტს და გაიღიმა, — მიესალმა ორივეს:

— სად იყავი? — შეეკითხა ჩიტს.

გააღო ნისკარტი ჩიტმა და ეგორკას გადახედა...

„ნუთუ გამცემს“! — გული გადაუქანდა ბიჭს, მაგრამ სტვენიამ არაფერი თქვა — „არც ისეთი ცუდი ბიჭია ეგორკა, — გაიფიქრა, — ტყუილუბრალოდ რისთვის გავცეო“.

თარგმნა **გულნარა გობრონიძემ**

# კარნავალი

ავთანდილ გურგენიძე



კარნავალი გაუმართავთ
ცხოველებს და მხეცებს:
კატა—თაგვის,
თაგვი—კატის,
თხა—მგლის ნიღაბს ეძებს.

დათუნიას ველარ იცნობთ,
გაპრანჭული დადის,
ტანსაცმელი უყიდია
ხატაურა კატის.

როგორც უცხოს,
როგორც სტუმარს—
ცხვრის ნიღაბი
ერგო ტურას.

თხის ნიღბები მოირგეს
მელიამ და მამალმა,
მაგრამ კუდი და ბოლო
ვერცერთმა ვერ დამალა.

მელა ხუმრობს,
ისე ხუმრობს—
ირგვლივ ყველას აცინებს,
მამლაყინწას ლამაზ ბოლოს
თვალს მაინც არ აცილებს.

მაგრამ ჩვენი მამალი
გონიერი რამ არი:

მურიასთან საუბრობს,
მურა მისი მცველია.
მურიასთან ნიღბითაც
ველარ მიდის მელია...

ნახატი ბესო ხიდაშელისა



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩურჩხელები

შალვა შუბლაძე

ნახატი ვენდო ნურნუმიასი

ნიგვზის სხმულებს ტკბილ ფაფაში
თავი ჩააყოფინეს.
ქურქზე ქურქი წამოასხეს,
ერთი არ ამყოფინეს.
ხარიხაზე გადაჰკიდეს,
მზის სხივს გაახმობინეს.
— ახალ წლამდე ხელს ნუ ახლებთ,
უთქვამს ბებო ფოტინეს,—
თორემ ჯოხი არ ასცდება,
ვინაც წაუპოტინებს.—
პატარებმა ფიცი დასდეს,
ბებო დააშოშმინეს.
მაგრამ, რადგან გემრიელი
იყო თურმე ჩურჩხელა;

და, რადგახაც ამას ერთხმად
ადასტურებს სუყველა,—
ნინო იყო,
გაზა იყო,
ხვიჩა იყო,
თუ გელა,
ყოველ დილით თითომ თითო
მოიპარა ჩურჩხელა...
საახალწლოდ ბებომ უჯრა
გამოსწია უთქმელად.
ხედავს. ოთხად ოთხი ცალი
დარჩენილა ჩურჩხელა.
ისიც ბავშვებს დაურიგა
სათითაოდ, სუყველას.





# კეთილი ფერიები

**მერი ბოლქვაძე**

ნახატები **თამაზ ხუციშვილისა**

ხვალ ახალი წელია!

— თამრიკო, ხედავ, თოვლიც მოვიდა!— ამბობს თინიკო.

— უჰ, რამოდენა ფიფქებია, არა?—ეპასუხება თამრიკოც. ორივეს ფანჯრისათვის ცხვირები მიუჰყლეტიათ — და ლაპარაკობენ:

— თამრიკო, ფიფქები თეთრ, ნამცეცა პეპლებს ჰგვანან, არა?!

— ჰგვანან.

— კიდევ?

— ტყემლის ყვავილებს...

— კიდევ?

— კიდევ თეთრ, წვრილ-წვრილ ვარსკვლავებს!—ამბობს დებს შუა ჩამდგარი გია. მასაც ფანჯრისთვის ცხვირი მიუჰყლეტია და დროდადრო ქსუტუნებს.

— თეთრი ვარსკვლავები რაღაა?!—სიცილით კვდებიან დები.

— აბა, ახლო ნახეთ ფიფქები და მერე თქვით!—სწყინს გიას, რომ არ უჯერებენ.

— ოქროსფერი ვარსკვლავები მაინც გეთქვა?!—ურჩევენ დები.

— ოქროსფერი კი არა, თეთრია.

— არა, ოქროსფერი...

— ჩაიცვით, სტუმრად მივდივართ!—მეორე ოთახიდან დაიძახა დედამ.

სტუმრად მივდივართო?! — ჩიტებივით აფრთხიალდნენ სამივენი:

გახარებული ყიჟინით ეცნენ ტანსაცმელს, მოირთვნენ, მოიკაზმნენ და... უცებ მოაგონდათ:

— დედიკო, მერე, ჩვენი ნაძვის ხე მარტო იყოს?

დედამ წარბი ასწია:

— აბა, გელა იყოს მარტო?

— გელა? გელასთან მივდივართ?

— ჰო, აგერ ჩვენ გელასთან, მეზობელთან...

გელას არც დედა ჰყავს, არც მამა, ერთი საწყალი, დარდისაგან გადაყრუებული ბებიაღა შერჩა.

ვანო პაპა და ლოლა ბებია ხომ მთლად მარტო დარჩნენ. ერთი შვილი აღარ შერჩათ შინ, ყველა ქალაქს გაიქცა; სხედან ახლა გამოყრუებულები სახლში, ხან კატას ეფერებიან და ელაპარაკებიან, ხან—ძაღლს, ხან ქათამს, თხას, გოჭს, ბალახს, ხეს...

დედამ მაგიდაზე დახვავებული საახალწლო ხორაგი აჩქარებით ჩანთაში ჩაუძახა და თამრიკოს და თინიკოს მიაჩეჩა:

— აჰა, ერთმა ერთ ყურში მოჰკიდეთ ხელი, მეორემ—მეორეში!

— ნაძვის ხეც წავუღოთ!—თქვეს დებმა.

— ჩვენ?!—გაიფხორა გია.

— არ გრცხვენია?—შეუტიეს დებმა...

გია გაჩუმდა. უხერხული დუმილი დედამ დაარღვია:

— როგორ გაუხარდება გელას, არა, ნაძვის ხე?

— გოზინაყი და ნამცხვრებიც გაუხარდება!—ხმა ამოიღო გიამ.

— ჩვენი მისვლაც!—დაუმატეს დებმა.

— ჰო, ყველაფერი გაუხარდება, ყველაფერი, მაგრამ ყველაზე მეტად თქვენი სიკეთე!—თქვა დედამ.

— მერე ვანო პაპასთან და ლოლა ბებიასთან წავალთ, არა, დედა?

— ჰო, ჰო!

— იმათ აღარ უნდათ ნაძვის ხე, გოზინაყი, ნამცხვრები?

— იმათ არც ნაძვის ხე უნდათ, არც არაფერი; შვილები და შვილიშვილები უნდათ. ახალ წელს მაინც ჩამოსულიყვნენ, გაეხარებინათ!

— მერე ჩვენი ნახვა გაეხარდებათ, დედა? ჩვენ ხომ მათი შვილები და შვილიშვილები არა ვართ?!

— მაინც გაეხარდებათ!

...თოვს, საყვარლად თოვს. მღერიან თოვლის ფიფქები და თოვლის ჩუმ, ლამაზ შრიალში გელას სახლისაკენ მიაბიჯებენ კეთილი და-ძმები. მილაპარაკობენ და, თითქოს



ისინიც თოვლის ფიფქებივით მღერიან.

ნაძვის ხის წვერზე წამომჯდარი ოქროსფერი ვარსკვლავი ბრჭყვიალ-ბრჭყვიალით იქაურობას იკლებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# როცა ბებიები ოქტომბრელები იყვნენ...

გურამ ბახტაძე

ნახატი რევაზ ცუცქირიძისა

გაკვეთილების შემდეგ ოქტომბრელებთან მათი ჯგუფის ხელმძღვანელი, მეშვიდეკლასელი პიონერი, ქეთინო ჩხარტიშვილი მივიდა. ქეთინოს თმაშევერცხლილი ქალი ახლდა, რომელსაც პატარა ვარსკვლავი ეჭირა. ვარსკვლავი წითელი ქსოვილისაგან დაემზადებინათ,—ეტყობოდა, კარგა ხნის წინათ,—გახუნებული იყო.

— ოქტომბრელებო!—პიონერებმა გადაწყვიტეს მოეძებნათ პირველი თაობების ოქტომბრელები. „ბებიები, როცა ოქტომბრელები იყვნენ“—ასე დაარქვეს ამ ოპერაციას. მოძებნეს კიდეც. ერთი მათგანია თქვენი დღევანდელი სტუმარი, პატივცემული ასია ბლადაძე.

— ეს ვარსკვლავი პიონერებმა დაამზადეს და ჩვენ, ოქტომბრელებს საზეიმოდ დაგვაბნიეს მკერდზე,—თქვა ასია ბებიამ...

— ეს იყო დიდი ხნის წინათ—1930 წელს. ჩვენი პირველი კოლმეურნეობის თავმჯდომარემ, მემედ ძიამ, პატარებს მაგრად ჩამოგვართვა ხელი და გვისურვა გავზრდილიყავით ღირსეული ადამიანები, ნამდვილი კომუნისტები.

ოქტომბრელებს ძალზე გვახარებდა, რომ მკერდზე ისეთივე ვარსკვლავი გვეკეთა, როგორც ჩვენი პირველი კოლმეურნეობის სახურავზე იყო დამაგრებული.

მაშინ პიონერები ქვრივ-ობლების დასახმარებლად ფასიან კონცერტებს მართავდნენ. ჩვენც—ოქტომბრელებმაც მივიღეთ მონაწილეობა—ვიმღერეთ, ვიცეკვეთ. შაბათობაზეც ვიყავით,—პიონერებს ჩაის თესვაში ვეხმარებოდით.

ისინი, პირველი ოქტომბრელები, მართლაც სახელოვანი ადამიანები გახდნენ—მოწინავე მუშები და კოლმეურნეები, ექიმები, ინჟინრები... პატარა ასია კი მასწავლებელი გახდა. ყველამ ღირსეულად შეასრულა წითელ, ხუთქიმიან ვარსკვლავთან დადებული ფიცი.

საუბრის შემდეგ ასია ბებიამ ქობულეთის მე-3 სკოლის ოქტომბრელები იმ ვაშლის ხესთან მიიყვანა, რომელიც ნახევარი საუკუნის წინათ ოქტომბრელთა რიგებში მიღების დღეს დარგო. ასია ბებიას შვილიშვილმა, პატარა გოჩამ, ვაშლი მოწყვიტა და ღიმილით თქვა:—რა კარგია!

ბებიამ კი მას მკერდზე დაუბნია თავისი ხუთქიმიანი ვარსკვლავი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ევგენი ბართაია

# პატარა მკერავი

ლალის კაბას შევუკერავ,
დალის—ქუდს და ხალათს.
მაგრამ არ მაქვს მაკრატელი—
დედამ დამიმალა.





# დათო

დათომ უთხრა დედას:
— მე ვარ შრომის გმირი,
გუშინ ბაღში დავრგე
მსხალი ორი ძირი!

# თემური და თხილამური

არ მჭირდება არც ბენზინი,
არც ქარი, არც იალქანი,
მთიდან მთაზე,
გზიდან გზაზე
მივქრი, როგორც ნიავქარი.





# ლალი

— სწავლას უნდა მოვრჩე, —
დედამ ასე მითხრა...
მერე, ჩემო ლალი,
ვითამაშოთ დიდხანს!

ნახატები გიორგი როინიშვილისა

ზღაპარი

ბაბუ მებურიშვილი

# ოქროს წიწილი

ნახატები ზურაბ კაპანაძისა

იყო და არა იყო რა,
ზღაპარს გიამბობთ ახალს:
ერთ დილით კრუხმა ბოსტანში
შავი თხუნელა ნახა.
თავისთვის ჩაიკაკანა:
— ამის სინსილა გაქრა...—
და წაწვეტილი ნისკარტი
თავში ზედიზედ ჩაჰკრა.
შეშინებული თხუნელა
სოროში შეძვრა წამსვე
და იქაც დიდხანს ესმოდა
კრუხის ხმა—ბრაზით სავსე.

* * *

კრუხს ერთი ოქროს წიწილი
ჰყავდა და, თავს ურჩევნოდა.
წუთითაც არსად უშვებდა
გაშლილი ფრთების ჩეროდან.
მაგრამ, ერთხელაც ტყის პირას,
კალიებს გამოეკიდა:
ამ დროს სად იყო, სად არა,
მელა გადმოდგა ბექიდან.
— ეჰეი!—გადმოუძახა,
— საიდან მოხველ, ვინა ხარ?!
რომ დაინახა წიწილმა,
გული გაუსკდა კინაღამ:
— მე, დიდო მელა-ბატონო,
ოქროს წიწილი გახლავარ,
უგემური ვარ, ათასჯერ
მჯობია ყვავის ბახალა.—
მხუნაგმა მელამ მიუგო:
— მაშინ არ შეგჭამ სადილად,
ჩემს ბედს ძაღლი არ დაუყეფს,
თუ ოქროსი ხარ ნამდვილად.
ჩემს გრძელ სოროში დაგამწყვდევ,
დაგიფენ გამხმარ ბალახებს,
მერე შენს პატრონს წერილით
ერთ მელაკუდას ვაახლებ.
შიგ ჩავწერ: „ოქროს წიწილი
აღარ ეძებოთ დღეიდან,
ის ჩემთან არის, ვერას გზით
ვეღარ წამივა ხელიდან.
რა ვქნა, მეც მინდა სიცოცხლე,
მეც შვილები მყავს წვრილ-
წვრილი,
მომგვარეთ ასი დედალი
და წაიყვანეთ წიწილი".
მელიამ მხარზე მოიგდო
ოქროს წიწილი ფუმფულა,
თხრილს გადაახტა ვეებას,
სოროში წაიცუნცულა.



* * *

მეორე დღეს მელამ ასე
დაარიგა მოციქული:
— ფრთხილად იყავ, გამოიხსნი
ასი თვალი, ასი ყური.—
მოციქულმა ნათლიმამამ
მხარზე დაჰკრა თათი ძმურად,
გამოართვა ბარათი და
სოფლისაკენ გაეშურა.

* * *

გლეხმა დილაადრიან
წაიკითხა წერილი,
საცოდავი, ჯორკოზე
ჩამოჯდა მოწყენილი.
— ვიცი, მელავ, ეგ შენი
ხრიკები და ფანდები.
ას ქათამს თუ მომცემდი,
წიწილს არც ვიდარდებდი.
თქვა, წიწილის გულისთვის
ვერ დავდგები მათხოვრად
და მელიას წერილი
უპასუხოდ დატოვა.

* * *

კრუხი კი ჯავრობს, დაკარგა
მოსვენება და ძილი;
ვერ დაეხმარა ვერავინ,
ვერ გამოიხსნა შვილი.
იმის მოთქმა და ტირილი
თხუნელას მისწვდა ხვრელში.
მაშინვე გამოეშურა
სირბილითა და ხვნეშით...
„მითხარ, რა გაგჭირვებია,
ჩემო ძვირფასო კრუხო".
გაშტერებული დედალი
მიჩერებოდა უხმოდ.
უამბო:—მიკვირს თვითონაც
სული რომ მიდგას პირში,
მელამ წიწილი მომტაცა,
გაწუდა იმისი ჯიში.
კრუხს უთხრა:—თუკი მიკადრებ,
მაგის წამალი ვიცი:
იმ მელაკუდას სოროდან
მე გამოგიყვან წიწილს.

* * *

სოროს წინ იჯდა მელია,
უთვალთვალებდა წიწილს,
ცეცხლი დაენთო, ტკაცუნით
იწვოდა ხმელი წიწვი.
კრუხს წასჩურჩულა თხუნელამ:
— მოვეფერები გვიმრას,
უკანა მხრიდან სორომდე
გავიყვან ვიწრო გვირაბს.

დაიწყო,
შუაღამემდე
თხარა და თხარა მიწა,
და როგორც იქნა, წიწილის
ადგილ-სამყოფელს მისწვდა.



* * *

რომ მოუყვანეს წიწილი,
გლეხმა გამართა ლხინი.
ლარიშე [illegible]
თავს იწონებდა ღვინით;
მთელი სოფელი ისმენდა
კრუხის მხიარულ კაკანს;
ჩვენი ზღაპარიც დასრულდა, —
ჭირი იქ, ლხინი—აქ.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ათასი და-ძმა

ჯემალ ნინუა                ნახატები ვახტანგ გულისაშვილისა

ეს ზღაპარი ჩემი მოგონილი არ გეგონოთ, ამას წინათ ერთი დიდი მდინარე შემხვდა და იმან მიამბო. აბა, მომისმინეთ:

ალბათ, ჯერ ის უნდა გითხრათ, რომ დიდი მდინარე მართლაც ძალიან დიდი იყო, დიდზე დიდი. მთელი დღე რომ გეთვალათ, მის ტალღებს მაინც ვერ დაითვლიდით. აბა, ამ ანკარა და ქაფქაფა ტალღებს რას დაითვლი! ხან აქ ამოყოფენ თავს და ხან—იქ, ხან ერთ ნაპირს ეთამაშებიან და ხან—მეორეს.

ეჰ, ამ ანკარა და ქაფქაფა ტალღებისას მართლაც ვერაფერს გაიგებ!

არავინ არ იცოდა, დიდი მდინარე რამდენი წლისა იყო, არც ის იცოდნენ, როდის მოვიდა და როდის წავიდოდა. მხოლოდ ის იცოდნენ, რომ ათასი და-ძმა ჰყავდა: აი, მაღლა, სულ მაღლა, მთების ფერდობებზე, თოვლის პატარა გუნდა ჩამოიშლებოდა, წვეთ-წვეთად ჩამოჰყვებოდა მთის კალთებს. მერე ერთ წვეთს მეორე დაემატებოდა, მეორეს—მესამე, მესამეს—მეოთხე და ბოლოს, პატარა, წკანწკარა წყაროდ ჩამოიღვრებოდა ხოლმე, როგორც მზის გამჭვირვალე ძაფი. მერე ერთი პატარა წყარო მეორეს მოსძებნიდა, მეორე კიდევ—მესამეს და მთის ჩხრიალა ნაკადულად რომ გადაიქცეოდა, დიდი მდინარისაკენ გამორბოდა.

ათასი ასეთი და-ძმა ჰყავდა დიდ მდინარეს.

აბა, ქაფქაფა ტალღების ხმაურში მათ უჩუმარ სიმღერას როგორ გამოარჩევდით!

და აი, ერთხელ ერთი უცნაური ამბავი მოხდა: მუხების ტყეში ერთი ნაკადული გაჯიუტდა, ატირდა და აწრიალდა, ჩემთვის უნდა ვიცხოვრო, დიდ მდინარესთან წასვლა არ მინდაო. გვირილებს და გვირილჩიტებს ძალიან გაუკვირდათ, ეს როგორ იქნებაო, ერთ ადგილას ხომ არ გაჩერდებიო?

„რატომაც არ გავჩერდებიო?“—გაუკვირდა ნაკადულს და ერთი წამით მართლაც შეჩერდა, ადგილზე გაინაბა.

„თუ გაჩერდები, გუბურად გადაიქცევიო“,—უპასუხა ყველაზე ჭკვიანმა გვირილამ.

— „მერე რა, ჩემთვის მაინც ვიქნები, არხეინად ვიცხოვრებო“,— თავისას არ იშლიდა ნაკადული და ერთ პატარა ორმოში გროვდებოდა.

„აბა, ეგ რა ცხოვრებაა? ბაყაყებით ამოივსები, დატბორდები და ატალახდები, მეგობრებიც აღარ გეყოლებაო“,—არ ეშვებოდა ყველაზე ლამაზი გვირილა. გული სტკიოდა და აბა, როგორ მოეშვებოდა, ისინი ხომ დიდი ხნის მეგობრები იყვნენ.

„ჩვენც ვეღარ მოვალთ შენთან, გუბურას წყალი ვის რაღად უნდაო“,—ჩაილაპარაკა გულდაწყვეტით ყველაზე ლამაზმა და მორცხვმა გვირილჩიტამ.

ნაკადულმა თავისი არ დაიშალა, ერთ ადგილზე დაგუბდა. სხვა გზა არ იყო, გვირილები და გვირილჩიტები გაეცალნენ და სხვა ნაკადულებს მიაშურეს.

ერთ დღეს დატბორილ ნაკადულს ერთი უცნაური ცხოველი ეწვია. არც გვირილისფერი თვალები ჰქონდა და არც გვირილჩიტისნაირი ფრთები. ოთხ ფეხზე დახტოდა. სიმღერაც რაღაც უცნაური, უსიამო იცოდა.

„ყი-ყი, ყიი“!—დახტოდა დატბორილი ნაკადულის გარშემო ის უცნაური ცხოველი. ეტყობოდა, რაღაცას ეძებდა.

„ვაიმე, ალბათ ეს არის ბაყაყიო“,—გაიფიქრა შეშინებულმა ნაკადულმა, მაგრამ სანამ გონს მოვიდოდა, ბაყაყმა ისკუპა და ნაკადულში ჩაყურყუმელავდა. თუმცა, სადღა იყო ნაკადული! დაგუბულ წყალს ლამი და ტალახი მოსდებოდა, ადრინდელი სიანკარე დაჰკარგვოდა, ოქროგულა გვირილების ნაცვლად მის გარშემო რაღაც ულამაზო ბალახი წამოზრდილიყო...


ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაყაყს, ეტყობოდა, ძალიან მოეწონა გუბურა, ამოსვლას არ აპირებდა. მერე, მზე რომ გადაიხარა, გუბურას თავზე მოექცა, ერთიორჯერ კიდევ ჩაიყურყუმელავა და ნაპირზე ისკუპა.

„ყი-ყი, ყიი!—ეს რა კარგი გუბურა ვიპოვნეო“,—დახტოდა და ყიყინებდა გამხიარულებული ბაყაყი,—„არც არავის შევაწუხებ, არც არავინ შემაწუხებს, ჩემთვის ვიქნები და ვიცხოვრებო“.

უყურებდა გახარებულ ბაყაყს დატბორილი ნაკადული, თავისივე სიტყვები ახსენდებოდა და ტიროდა. იცით, როგორ ტიროდა? ცრემლები სულ ღაპა-ღუპით მოსდიოდა, მაგრამ ახლა ეს ცრემლებიც ისეთი ლამიანი და ტბორისფერი იყო, სირცხვილით სხვას ვერ დაანახვებდა.

მის გვერდით კი, სულ ახლოს, ძალიან ახლოს, მხიარულად მოედინებოდა ჩვენი ნაცნობი მდინარე. ერთმანეთს ისევ ისე თავზე ევლებოდნენ მისი ქაფქაფა ტალღები, ხან ერთ ნაპირს მიაწყდებოდნენ, ხან მეორეს და, სიმღერით მიედინებოდნენ შორს, შორს, სადღაც, კიდევ უფრო დიდი მდინარისაკენ.

ნეტა, რაზე მღეროდნენ ტალღები?

ალბათ, თავის ათას და-ძმაზე მღეროდნენ: აი, იმ ნაკადულებზე, მთის ფერდობებიდან და ტყის გულიდან რომ გამორბიან — დიდი მდინარისაკენ. ამიტომაც ისმოდა ამ სიმღერაში ზვავების ხმაური და მუხების დიდი ტყის შრიალი.

ან იქნებ იმ ნაკადულებს უმღეროდნენ ტალღები, ტბორებად რომ იქცნენ? სიმღერით თუ ამხნევებდნენ — ნუ გეშინიათ, მოვალთ და გიშველითო.

მე თუ მკითხავთ, ალბათ ერთიც არის და მეორეც.

დიახ, ნამდვილად თავის და-ძმებზე მღეროდა და მღერის დიდი მდინარე.

ის ხომ იმიტომაც არის დიდი და ძლიერი, რომ ათასი და-ძმა ჰყავს!



# უმაძღარა

**გივი ჭიჭინაძე**

სკოლისაკენ მამუკას
ჩანთით მიაქვს საჭმელი.
შიგ ჩააწყო ნამცხვარი,
ხაჭაპურის ნაჭერი.
გაახვია ქაღალდში
ერთი ქათმის ბარკალი,
ხილიც არ დაივიწყა:
ვაშლი, მსხალი, კაკალი.
ჩანთაც მამუკასავით
გაიბერა, გასივდა.
— ბიჭო, წიგნი ხომ მიგაქვს? —
ბებომ ჰკითხა ყასიდად.
უმაძღარა შუბლს ისრესს:
— რა ვქნა, ბებო ქეთევან,
ყველაფერი ჩავაწყე,
წიგნი აღარ ეტევა!

ნახატი **თემურ ჩირინაშვილისა**

ეროვნული ბიბლიოთეკა



# წუხელის თოვლი მოსულა

კ. გოგიაშვილი

თოვლი მოსულა წუხელის,
დაუდევს ერთი მტკაველი,
თეთრად ბრჭყვიალებს ქუჩები,
თეთრად ქათქათებს მთა-ველი.

ირმას, ლექსოს და მარინას
ზურგზე ჩანთები ჰკიდიათ,
გულმხიარული ბავშვები
სკოლაში ერთად მიდიან.

წინ მიუძღვებათ მურია,
მიაცილებენ ჩიტებიც,
რა კარგი თოვლი მოსულა,—
ხარობენ გოგო-ბიჭები.

ნახატი ედუარდ ამბოკაძისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბროლიას და ნაცარას საახალწლო ნაძვისხე

ნახატები **თემურ ჩირინაშვილისა**

ახალი წლის წინა დღე იყო. ბროლიამ და ფისო ნაცარამ სათამაშოების მაღაზიაში ერთი დიდი ნაძვის ხე იყიდეს.

ბროლიამ ნაძვის ხეზე ნავაჭრი ტკბილეული დაალაგა და ქათქათა თოვლზე შინისაკენ წაათრია.

— აბა, ცოტა კიდევ ჩემო ბროლიავ და, საცაა შინ ვიქნებით!—ამხნევებდა გზადაგზა ნაცარა.

როგორც იქნა, სახლს მიაღწიეს. ბროლია ძალიან დაღლილიყო, მაგრამ დაალაგეს თუ არა ნავაჭრი, იმწამსვე საქმეს შეუდგა.

ნაცარას სულმა ტკბილეულისკენ წასძლია. ბროლიამ ურჩია:—ჯერ ნაძვისხე დავდგათ და მერე ვჭამოთო.

ნაძვის ხე ფეხზე დააყენეს, მაგრამ დახე უბედურებას! ოთახში არ გაიმართა!

ნაცარამ თათი ფრთხილად გადაისვა ულვაშზე:

— მეტი გზა არ არის, ან იატაკი უნდა ამოვჭრათ, ან ჭერი.

ისევ ჭერის ამოჭრა არჩიეს. კიბე და ხერხი მოიტანეს და ნაცარა საქმეს შეუდგა. ცოტახნის შემდეგ მრგვლად გამოჭრილ ჭერში ნაძვის ხეს წვერი ააყოფინეს.

და... სასწაული თუ გინდათ, ეს არი!—რა მოულოდნელი სიხარული ეწვია სხვენის ბინადართ! მშვენიერი ნაძვისხე მათ დარბაზში უსასყიდლოდ და უშრომლად ამოვიდა! ენა ვერ გამოთქვამდა თაგვების სიხარულს. დატრიალდა დიდ-პატარა და მწვანე რტოები სანთლებით, ფერადფერადი ბუშტებით, ოქროსფერი და ვერცხლისფერი ბრჭყვიალა ვარსკვლავებით შეამკეს.

ეს,—სხვენში, ოთახში კი,—ბროლიამ და ნაცარამ მორთეს თავიანთი ნაძვისხე.

საქმეში გართულებმა სარკმელში ძველ მეგობრებს—-ყურშას და ფიფქიას მოჰკრეს თვალი, სტუმრად მოდიოდნენ.





ზარმა დარეკა. ბროლიამ კარი გააღო და სტუმრებს შეეგება.

ფიფქიამ თოვლის პაპას წვერ-ულვაში გაიკეთა და ნამდვილ პაპას დაემსგავსა.

— ეჰ,—ნაღვლიანად თქვა ბროლიამ,—ნამდვილი თოვლის ბაბუა ჩვენთვის სად მოიცლის,— პატარა ძაღლებისა და კატებისათვის! ქვეყნის გოგო-ბიჭების დასაჩუქრება ხუმრობა ხომ არ არის!

ნაცარამ თათი თათს შემოჰკრა.

— გულს ნუ გაიტეხთ, მეგობრებო! ეს ულვაში მომპარსეთ თუ გაის ახალ წელს თოვლის პაპა ნაირნაირი საჩუქრებით ჩვენთანაც არ მოვიყვანო. ახლა კი ვუმღეროთ და მისი გული მოვიგოთ.

თოვლის პაპავ, გვეწვიე—
წელს თუ არა, გაისად,
გიცეკვებთ და გიმღერებთ,
სუფრის თავში დაგისვამთ.

ვახშმის დროც დადგა. ფიფქიამ სუფრა გაშალა და მეგობრებიც მხიარული მუსაიფით შემოუსხდნენ მაგიდას. შესვეს ერთმანეთის სადღეგრძელო. მერე ისევ იმღერეს, იცეკვეს და ამასობაში თავზეც დაათენდათ. ფიფქიას ძილი მოერია, ყურშამ მარხილზე დასვა და გზას გაუდგნენ.

ფრანგულიდან გადმოაქართულა **მზია ერისთავმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა



## შარადა

ხეზე მწვანედ რომ ხასხასებს,
მისი სახელი რაც არი,
იმ-სიტყვას უნდა მოაკლო
მარტოოდენ წინა მარცვალი,—
ანბანის ასო მეექვსე
შუაში ჩაემატება.—
მოსვლა თუ დააგვიანა,
უთუოდ მოგენატრება.

**შოთა ამირანაშვილი**

## ძმები

**ნუნუ ლალიძე**

წაიჩხუბა ორი ძმა
თევდორე და მახარე,
დაეტაკნენ ერთმანეთს,
თავი თავზე ახალეს.
ძმებს შუაში ჩაუდგა
მათე ბიჭი პაწია,
ორი ხელით ორი ძმა
აქეთ-იქით გასწია.

| | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | ა | | | | | |
| | | | | | | ა | | | | | |
| | | | | | | ა | | | | | |
| | | | | | | ა | | | | | |

## თავსატეხი

შეავსეთ ცარიელი უჯრედები ქართველი კლასიკოსი მწერლების გვარებით.

შეადგინა გორის რაიონის, სოფ. ზედდულეთის სკოლის მოსწავლემ **მარინე ცერცვაძემ.**

## დაიბრიყვეს

**მარი აბრამიშვილი**

— რა ვქნა, მშიერ-მწყურვალი
დადის ჩემი წიპა,
შეუჭამა საკენკი
გოჭუნია ლიპამ.
ჯამით წყალი დავუდგი—
მურამ შეუსვლიპა;
დაგიბრიყვეს, წიპუნა?
— წიპ, წიპ,
წიპა, წიპა.

## რებუსი




შეადგინა ჩოხატაურის რაიონის სოფ. გოგოლესუბნის სკოლის მოსწავლემ **გიორგი სიხარულიძემ.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

12706



# მელია და დათვი

ნახატი შალვა ცხადაძისა

მთავარი რედაქტორი მუხრან მაჭავარიანი

სარედაქციო კოლეგია: კუკური გოგიაშვილი, ლეილა ერაძე, მაყვალა მრევლიშვილი, ჯიმშერ მუჯირი, იორამ ქემერტელიძე (პ/მგ მდივანი), შალვა ცხადაძე (სამხ. რედაქტორი), რობერტ ღარიბაშვილი, ბივი ძნელაძე.

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა

Издательство ЦК КП Грузии

საქ. ალკკ ცკ-ისა და ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერთა ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს ჟურნალი. გამოცემის 48-ე წელი.

ყდაზე ნახატი თენგიზ სამსონაძისა.

ტექრედაქტორი ბ. როინიშვილი

მისამართი: რედაქციის, გამომცემლობის, სტამბის—თბილისი, ლენინის, 14. ტელ.: მთ. რედაქტორის—93-41-30, 93-98-15; პ/მგ მდივნის — 93-10-32, 93-98-17; სამხ. რედაქტორის —93-98-18; განყოფ. — 93-98-19; სამდივნოსი — 93-98-16.

გადაეცა ასაწყობად 28/X-74 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 20/XII-74 წ., ქაღალდის ზომა 60×90 1/8 ფიზ. ნაბ. ფურც. 2,5, ტირაჟი 159.700. შეკვ. № 3899. „Дила" № 1. на грузинском языке. ფასი 20 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა
6 86/20

















76055

თელავის VI საბავშვო ბაღის უფროსი ჯგუფის ნახატები და გირჩებზე ნამუშევარი.

„ბავშვები სოკოზე"—ნახ. ვანო გრიშიკაშვილისა, 7 წ.
„მატარებელი"—ნახ. მაია მანჯგალაძისა, 6 წ.
„ტრაქტორისტი"—ნახ. დათო ყურაშიძისა, 6 წ.
„შემოდგომა"—ნახ. ცირა პიტურიშვილისა, 6 წ.
„ინდაური"—ნამუშევარი ლია ქოქოევისა, 6 წ.
„შვლის ნუკრი"—ნამუშევარი მანანა პაატაშვილისა, 7 წ.
„გასეირნება აქლემით"—ნამუშევარი ციალა პიტურიშვილისა, 6 წ.
„არწივი ხეზე"—ნამუშევარი მარიკა ხანჯალიაშვილისა, 6 წ.